,,გულანში" სამეცნიერო სტატიის წარმოდგენისა და გამოქვეყნების სტანდარტები

,,გულანის" თემატიკა: ,,გულანში" ქვეყნდება სამეცნიერო სტატიები ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ისტორიის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, ჟურნალისტიკის, განათლებისა და სამართალმცოდნეების მიმართულებებით.

მასალის ტიპები: ,,გულანში" დაიბეჭდება სრულფასოვანი (ორიგინალური) სტატია, ანგარიში, რეცენზია, ფოლკლორული და დიალექტოლოგიური ტექსტები.

სტატიის წარდგენა (დეკლარაცია): სტატიის წარდგენა გულისხმობს, რომ ნაშრომი არ გამოქვეყნებულა მანამდე (გარდა აბსტრაქტისა, გამოქვეყნებული ლექციის ნაწილისა, აკადემიური თეზისისა) და არც არის გათვალისწინებული მისი გამოქვეყნება.

ენა: სტატიები შეიძლება გამოქვეყნდეს ქართულად და ინგლისურად, რომელიმე სხვა ენაზე სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით. ქართულ ენაზე დაწერილ სტატიას უნდა ახლდეს აბსტრაქტი (რეზიუმე) ქართულ და ინგლისურ ენებზე. უცხო ენაზე დაწერილ სტატიას თან უნდა ახლდეს ძირითადი შინაარსი 2 გვერდზე ქართულ ენაზე და აბსტრაქტი (რეზიუმე) ინგლისურ ენაზე. სტატია, რომელიც რეცენზენტთა და სარედაქციო კოლეგიის დასკვნით აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, დაიბეჭდება გაშლილი რეზიუმეთი (2 გვერდზე) ქართულ და რეზიუმეთი ინგლისურ ენაზე.

აბსტრაქტი (რეზიუმე) წარმოდგენილი უნდა იყოს კარგი ინგლისურით (ამერიკული ან ბრიტანული ინგლისურით, მაგრამ არა მათი ნარევი). ავტორებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათ ინგლისურენოვან ხელნაწერს სჭირდება რედაქტირება, რომ გამოირიცხოს შესაძლო გრამატიკული ან მართლწერის შეცდომები და ტექსტები სამეცნიერო ინგლისურ ენაზე შესწორდეს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ გამოიყენონ ინგლისური ენის რედაქტირების მომსახურება.

ტექნიკური პარამეტრები: სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატით. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და სხვა ტიპის დანართების

ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე 1 ინტერვალით და 11 შრიფტით ნაბეჭდ ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ნიშანი) ან 20 კომპიუტერულ გვერდს;

სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ერთ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS Word, ქართული სტატია შრიფტით Sylfaen, ასევე უცხოურ ენაზე ტექსტი - Sylfaen);

სტატიის სტრუქტურა

სტატიის სათაური: დაიცავით მოკლე, ინფორმაციული სტილი, შეეცადეთ სათაური იყოს სპეციფიკური (არა ზოგადი) და ასახავდეს სტატიის შინაარსს. მოერიდეთ შემოკლებებს, აბრევიატურებს, ორიენტირდით მაქსიმალურად ფართო საზოგადოებაზე;

ავტორი/ავტორები: სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკად. ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი, ელ. ფოსტა;

აბსტრაქტი (რეზიუმე): აბსტრაქტი (რეზიუმე) უნდა იყოს ინფორმაციული, სტატიის ძირითადი შინაარსის ამსახველი, აღწერდეს კვლევის მიზანს, აჯამებდეს კვლევის ძირითად შედეგებს და წარმოაჩენდეს მის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას; უნდა იყოს სტრუქტურირებული, ე. ი. მისდევდეს სტატიის აგების ლოგიკას. აბსტრაქტი გამოყოფილია ცალკე სტატიისგან. ამიტომ, მითითებები თავიდან უნდა იქნეს აცილებული;

აბსტრაქტში (რეზიუმეში) კატეგორიულად უნდა ავიცილოთ თავიდან ზოგადი, არაფრისმთქმელი სიტყვები, რაც მხოლოდ ზრდის ტექსტის მოცულობას, მაგრამ ხელს არ უწყობს სტატიის შინაარსის გახსნას. მოკლედ, უნდა იყოს არსებითად ორიგინალური; საჭიროა მოკლე და ფაქტობრივი აბსტრაქტი (რეზიუმე) (მაქსიმუმ 250 სიტყვა, დაახლოებით კომპიუტერული ერთი გვერდი);

საკვანძო სიტყვები: სტატიას თან უნდა ახლდეს სწორად შერჩეული საკვანძო სიტყვები (Keywords); მათი მაქსიმალური

რაოდენობა უნდა იყოს 8. გამოიყენეთ მხოლოდ მიღებული შემოკლებები;

სტატიის შესავალი: გამოკვეთილი უნდა იყოს: პრობლემის **არსი**; თქვენი **მიზნები;** როგორია თქვენი **ჰიპოტეზა;** თქვენი ნაშრომის **მნიშვნელობა;** რა იყო **გაკეთებული ადრე** (ლიტერატურის მიმოხილვა, გამოყავით რამდენიმე ყველაზე საინტერესო და ორიგინალური ნაშრომი, მათ შორის უკანასკნელი გამოცემები. რეკომენდირებული არ არის დიდი რაოდენობა დამოწმებული ლიტერატურისა, რომელსაც კავშირი არა აქვს თემასთან, ან არამიზნობრივი ჩანართები საკუთარ მიღწევებზე); რა **შედეგებს** მიაღწიეთ. წარმოდგენილი უნდა იყოს ლაკონურად.

მეთოდი: სტატია უნდა იყოს მეთოდოლოგიურად სწორად აგებული, ანუ უნდა ჩანდეს კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენება. აღწერეთ როგორ შეისწავლეთ დასმული საკითხი: მოიყვანეთ ვრცელი ინფორმაცია;

შედეგები: შედეგები უნდა იყოს ნათელი და მოკლე. დაალაგეთ ეს პარაგრაფი ჰიპოთეზების მიხედვით. შედეგებს აქ არ განიხილავთ. მონაცემების გასაზოგადებლად გამოიყენეთ გასაგები ცხრილები და სურათები; ცხრილები, სურათები და ტექსტი არ უნდა იმეორებდეს ერთმანეთს; სურათების დასახელებებს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა; მოწოდებული მასალა უნდა წარმოდგეს ინტერპრეტირებულად: მკითხველები ხშირად უყურებენ ჯერ დიაგრამებს, სქემებს – შემდეგ კითხულობენ. ამიტომ დიაგრამები უნდა იყოს გასაგები და ინფორმაციული;

თითოეულ ილუსტრაციას უნდა ჰქონდეს წარწერა. წარწერები დაწერეთ ცალკე და არა ილუსტრაციაზე. წარწერა უნდა შეიცავდეს სათაურს და მოკლე აღწერას. გააკეთეთ მოკლე წარწერა, მაგრამ განმარტეთ ყველა გამოყენებული სიმბოლო და აბრევიატურა;

ტექსტში გამოყენებული ცხრილები თანმიმდევრულად დანომრეთ. სქოლიო ჩასვით ცხრილების ქვემოთ პატარა ასოებით. თავი აარიდეთ ვერტიკალურ მწკრივებს. ყურადღება მიაქციეთ, რომ ცხრილებში წარმოდგენილი მონაცემები არ

იმეორებდეს სტატიის სხვა პარაგრაფებში აღწერილ შედეგებს.

მსჯელობა: ეს პარაგრაფი უნდა იკვლევდეს ნაშრომის შედეგების მნიშვნელობას და არ იმეორებდეს მათ. ზოგჯერ შედეგების და მსჯელობის პარაგრაფების გაერთიანება მისაღებია (შედეგები და მსჯელობა). თავი აარიდეთ ვრცელ ციტატებსა და გამოქვეყნებული ლიტერატურის მიმოხილვას. გამოკვეთეთ რას ნიშნავს თქვენი შედეგები (რა მნიშვნელობა აქვთ მათ). მსჯელობა უმნიშვნელოვანესი ნაწილია, იგი უნდა შეესაბამებოდეს შედეგებს. არ ღირს იმ ნაშრომების იგნორირება, რომელთა შედეგები ეწინააღმდეგება თქვენსას – გამართეთ მათთან დისკუსია და დაარწმუნეთ მკითხველი თქვენს სისწორეში. განიხილეთ თქვენი შედეგების ფარული შინაარსი, შეადარეთ თქვენი შედეგები მანამდე არსებულს.

დასკვნები: ნაშრომის მთავარი დასკვნები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს დასკვნის პარაგრაფში, რომელიც შესაძლოა ან ცალკე პარაგრაფად იყოს წარმოდგენილი, ან ქვეპარაგრაფის სახით შედეგებისა და მსჯელობის პარაგრაფში.

მადლიერება: სტატიის ბოლოს, ცალკე პარაგრაფში, შენიშვნებამდე, მადლიერება გამოხატეთ ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც დაგეხმარნენ კვლევისას. ეს პარაგრაფი არ მიუთითოთ სქოლიოს სახით სათაურთან ან სხვაგვარად.

სქოლიო: შეეცადეთ, ხშირად არ გამოიყენოთ სქოლიო. თუ რაიმე მნიშვნელოვანია, ის ტექსტში ჩაწერეთ, სხვა შემთხვევაში გამორიცხეთ. სქოლიო დანომრეთ არაბული ციფრებით თანმიმდევრულად. ტექსტის დამუშავების პროგრამების უმეტესობა აკეთებს სქოლიოებს ტექსტში, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს. სხვა შემთხვევაში განსაზღვრეთ სქოლიოს ადგილი ტექსტში და მიუთითეთ სქოლიოები ცალკე სტატიის ბოლოს.

წყაროები

ციტატები ტექსტში: გაითვალისწინეთ, რომ ყველა წყარო, რომელიც მოყვანილია ტექსტში, ასევე მითითებულია წყაროთა ჩამონათვალშიც და პირიქით. გამოუქვეყნებელი შედეგები და პირადი კავშირები არ არის რეკომენდირებული იყოს წყაროთა

ჩამონათვალში, მაგრამ შეიძლება აღნიშნული იყოს ტექსტში. თუკი ეს წყაროები მითითებულია წყაროთა ჩამონათვალში, მაშინ ის უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალში წყაროთა მითითების სტანდარტულ სტილს. წყაროში აღნიშნული ციტატა - „ბეჭდვაში“ ნიშნავს, რომ ნაშრომი გამოსაქვეყნებლად მიღებულია.

მითითების სტილი: სამეცნიერო პუბლიკაციაში ციტირებული წინადადებისა თუ აბზაცის შემდეგ მრგვალ ფრჩხილებში უნდა დაისვას ინდექსი, სადაც მიეთითება ავტორის ვინაობა, ნაშრომის გამოცემის წელი და შესაბამისი გვერდი, მაგ.: (თაყაიშვილი, 1920: 23).

ლიტერატურის დამოწმების წესი:

დასახელებული ლიტერატურა ლაგდება ანბანთრიგზე. ინდექსის ფორმა კი განისაზღვრება შემდეგი წესით:

წიგნი ერთი ავტორით –

კეკელიძე, 1987 – კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.), თბ., 1987;

უსპენსკი, 2001 – Успенский Ф., История Византийской Империи, т. 2, М., 2001.

წიგნი ორი ან მეტი ავტორით –

მეფისაშვილი..., 1989 – მეფისაშვილი რ., თუმანიშვილი დ., ბანას ტაძარი, თბ., 1989.

რედაქტირებული ან შედგენილი წიგნი:

ქრონიკები, 1897 – ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. 2, ტფ., 1897;

თაყაიშვილი, 1913 – ძველი საქართველო, ტ. II, რედ.ექ.

თაყაიშვილი, ტფ., 1913.

სტატია ჟურნალიდან ან გაზეთიდან –

შანიძე, 1962 – შანიძე აკ., ბასილი ეზოსმოძღვრის ისტორიული თხზულების ერთი შერყვნილი ადგილის გამართვისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1962, ტ. 99.

საგაზეთო სტატია ავტორისა და სათაურის გარეშე –

ივერია, 1897 – გაზ. „ივერია“, ტფილისი, 1897, №2. საენციკლოპედიო ან ქრესტომათიული სტატია –

შოშიაშვილი, 1975 – შოშიაშვილი ნ., აბუსერისძენი, ქსე, ტ. 1, თბ., 1975;

სილოგავა, 2001 – Силогава В., Анисская Эпархия, Православная Энциклопедия, т. II, М., 2001.

საისტორიო წყარო –

ბასილი ეზოსმოძღვარი, 1959 – ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959;

ჟამთააღმწერელი, 1987 – ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რევაზ კიკნაძემ, თბ., 1987.

ხელნაწერთა აღწერილობა – A ფონდის აღწერილობა, 1973 - ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. II, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973;

S ფონდის აღწერილობა, 1959 – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. I, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959.

ერთი ავტორის ერთსა და იმავე წელს გამოცემული რამდენიმე წიგნი:

1) **კაკაბაძე, 1921ა** – კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. 1, ტფ., 1921;

2) **კაკაბაძე, 1921ბ** – კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. 2, ტფ., 1921.

ციფრული წიგნის დასამოწმებლად იხელმძღვანელეთ ნაბეჭდი წიგნის მითითებისთვის არსებული წესებით. სტანდარტული ელემენტების გარდა ბიბლიოგრაფიაში ინტერნეტში განთავსებული წიგნებისთვის მიუთითეთ URL მისამართი და წვდომის თარიღი. გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ URL მისამართი არ არის საკმარისი; დაურთეთ მაქსიმალური ინფორმაცია გამოცემის შესახებ, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძებნა იმ შემთხვევაშიც კი, თუ URL მისამართი

შეიცვლება. თუ გვერდის ნომრები არ არის აღნიშნული, ციტირებული მონაკვეთის ადგილმდებარეობა მიუთითეთ აღწერილობითად, მაგ. წამძღვარებული ქვესათაურით.

S.: 1. სახელი გვარი, სათაური, გამოცემის ნომერი (გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი), **ქვესათაურის „ქვესათაური“ ქვეშ,** URL მისამართი (წვდომის თარიღი).

1. **სამორა, 2000** - Julian Samora, and Patricia Vandel Simon, A History of the Mexican-American People, rev. ed. (East Lansing, MI: Julian Samora Research Institute, Michigan State University, 2000), under "Civil War in mexico, http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six (19.12.2005).

b.: გვარი, სახელი. სათაური. გამოცემის ნომერი. გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი. URL მისამართი (წვდომის თარიღი).

სამორა, 2000 - Samora, Julian, and Patricia Vandel Simon. A History of the Mexican-American People.Rev. ed. East Lansing, MI - Julian Samora Research Institute, Michigan State University, 2000.http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six (19.12.2005).

სხვა ელექტრონულ ფორმატში გამოქვეყნებული (მაგ.: CD-ROM, Microsoft Reader e-book) წიგნების მითითებისას მიუთითეთ წიგნის ფორმატიც.

S.: 1. სახელი გვარი, სათაური (გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი), **წიგნის ფორმატი.**

თომასი, 2001 - Thomas H. Davenport and John C. Beck, The Attention Economy: Understanding the New Currency of Business (Cambridge, MA -Harvard Business Scholl Press, 2001), **TK3 Reader e-book.**

b.: გვარი, სახელი. სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი. **წიგნის ფორმატი.**

ჰელმანი, 2004 - Hellman, Hal. Great Feuds in Technology -Ten of the Liveliest Disputes Ever. New York: John Wiley, 2004. Rocket e-book.

შესაძლებელია ინტერნეტ წყაროები წყაროთა ჩამონათვალში შევიდეს ან მათი ცალკე ჩამონათვალი გაკეთდეს (მაგალითად, წყაროთა ჩამონათვალის შემდეგ) სხვადასხვა სათაურით.

ტექსტობრივი მითითება (ციტირება) და ბიბლიოგრაფია

ტექსტობრივი მითითება (ციტირება) და ბიბლიოგრაფია გაფორმებული უნდა იყოს „ჩიკაგოს სტილის“ მიხედვით. ბიბლიოგრაფია სასურველია ფორმირებული იყოს პროგრამულად. ავტორმა უნდა გამოიყენოს Microsoft Word-ის ბიბლიოგრაფიის ხელსაწყო (REFERENCES), ან ბიბლიოგრაფიის მენეჯმენტის პროგრამები (მაგ. Mendeley, Zotero, RefMan, Endnote, JabRef და სხვ.).

ტექსტობრივი მითითება (ციტირება) ხდება გამოყენებული წყაროების/ლიტერატურის ორიგინალის ენაზე.

ტექსტობრივი მითითების სტილი

ტექსტობრივი მითითებების სტილი ცნობილია ავტორი – თარიღის სტილის სახელითაც, ვინაიდან წყაროების მითითებისას ავტორის სახელი, გვარი და გამოცემის თარიღი მნიშვნელოვანი ელემენტებია.

ტექსტობრივი მითითება საკმარის ინფორმაციას შეიცავს იმისათვის, რომ მკითხველმა იპოვოს სრული მითითება ბიბლიოგრაფიაში, ჩვეულებრივ, ეს ინფორმაცია მოიცავს ავტორის სახელს და გვარს, გამოცემის თარიღს და (თუ კონკრეტულ ნაწყვეტს უთითებთ) გვერდის ნომერს ან ადგილის ამსახველ სხვა ინფორმაციას. სახელი, გვარი და თარიღი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ბიბლიოგრაფიის მუხლის შესაბამის ელემენტებს. ნაშრომში მოტანილი ციტატა ძირითადი ტექსტისგან გამოიყოფა ბრჭყალებით („ “). ქართული ტექსტისთვის უნდა იქნეს გამოყენებული „ქვედა“ და „ზედა“ („ ...“) ბრჭყალები, უცხოენოვანი ტექსტისთვის - “ზედა“ (“...“) ბრჭყალები. ციტირების დასასრულს მრგვალ ფრჩხილებში უნდა დაისვას ინდექსი, სადაც მიეთითება ციტირებული ტექსტის

ავტორის გვარი ორიგინალ ენაზე, ტექსტის გამოქვეყნების წელი, შემდეგ მძიმე და შესაბამისი გვერდი. მაგ:
„გაურკვევლობებით მოცულ სამყაროში, ნაბეჭდი მასალების მძლავრი ინსტრუმენტის სახით გამოყენება შეიძლება" (ჯონსი 1998, 623).
ტექსტობრივ მითითებებში ავტორს და თარიღს შორის სასვენი ნიშანი არ დასვათ, თარიღი გვერდის ნომრისგან მძიმით გამოყავით.
ციტატის შემთხვევაში, ტექსტობრივი მითითება უშუალოდ ციტატის შემდეგ ჩასვით, სხვა შემთხვევაში, ტექსტობრივი მითითებები წინადადების ან წინადადების ნაწილის ბოლოში მოათავსეთ. როდესაც ტექსტში ციტატას რთავთ, ბრჭყალი უნდა დახუროთ სასვენი ნიშნის წინ. ციტირებული ტექსტის ბოლოს სასვენი ნიშნები - წერტილი, ორწერტილი, წერტილ-მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები - დაისმის ბრჭყალის წინ, როცა ისინი ასრულებენ წინადადებას.
ქვემოთ წარმოდგენილ ნიმუშებში ნაჩვენებია, რომელი ელემენტები უნდა ჩაირთოს ტექსტობრივ მითითებებში წყაროების რამდენიმე გავრცელებული სახის ციტირებისას. XX აღნიშნავს ციტირებული ტექსტის გვერდის ნომრებს, YY აღნიშნავს სტატიის ან თავის გვერდების სრულ რაოდენობას.

1. ერთი ავტორი
ტექს: (ავტორის გვარი, გამოცემის თარიღი, XX-XX)
(Noll 1990, 123)
2. თუ წიგნს ავტორის ნაცვლად რედაქტორი ჰყავს:
ტექს: (რედაქტორის გვარი, გამოცემის თარიღი, XX-XX)
(Noll 1990, 123)
3. თუ წიგნს ორი ავტორი ჰყავს:
ტექს: (პირველი ავტორის გვარი და მეორე ავტორის გვარი. გამოცემის თარიღი, XX-XX)
(Bird & Sherwin 2005, 5)
(ბირდი და შერვინი 2005, 5)
4. თუ წიგნს სამი ავტორი ჰყავს:

ტექს: (პირველი ავტორის გვარი, მეორე ავტორის გვარი და მესამე ავტორის გვარი. გამოცემის თარიღი, XX-XX)
(Appleby, Hunt, & Jacob. 1994, 135-36)

5. თუ წიგნს ოთხი ან მეტი ავტორი ჰყავს, შენიშვნის სტრუქტურა მხოლოდ ასეთი სახით შეცვალეთ:

ტექს: (პირველი ავტორის სახელი და სხვები. გამოცემის თარიღი, XX-XX)
(Hall და სხვები. 1987, 114-15)

6. თუ წიგნს ავტორის გარდა, რედაქტორიც ჰყავს:

ტექსტ: (ავტორის გვარი გამოცემის თარიღი, XX-XX)
(Harley 2002, 132-33)

7. თუ წიგნს რედაქტორის ნაცვლად მთარგმნელი ჰყავს,

ტესტ: (ავტორის გვარი, გამოცემის თარიღი, XX-XX)
(Daniels 2002, 84)

8. ერთი თავი რედაქტირებულ წიგნში

ტექსტ: (თავის ავტორის გვარი. გამოცემის თარიღი, XX-XX)

2. ჟურნალის სტატიები

2.1. ჟურნალის სტატიის ბეჭდური გამოცემა
ტექს: (ავტორის გვარი. გამოცემის თარიღი, XX-XX)

ერთი და იმავე ავტორის ნაშრომები და თარიღი.

თუ უთითებთ ერთზე მეტ ნაშრომს, რომელიც ერთსა და იმავე წელს გამოსცა ავტორმა ან ავტორთა ჯგუფმა და ისინი ერთნაირადაა მითითებული, ბიბლიოგრაფიაში მუხლები ანბანურად დაალაგეთ სათაურების მიხედვით, წელს კი დაურთეთ ასოები ა, ბ, გ და ა.შ. იმავე პრინციპით დაწერეთ ტექსტობრივი მითითებებიც (ასოები იწერება სწორი შრიფტით, თარიღის შემდეგ ინტერვალი არ უნდა იყოს).
(Davis 1983a, 74)
(Davis 1983b, 59-60)

ავტორი არ არის მითითებული

როდესაც უთითებთ წიგნს ან ჟურნალის სტატიას, რომელშიც ავტორი არ არის მითითებული, ბიბლიოგრაფიაში ავტორის ნაცვლად სათაური მიუთითეთ.
(Account of operations 1870-1910)
(Great Trigonometrical Survey 1863, 26)

ორგანიზაცია, როგორც ავტორი
1. (ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 2003, 50)
2. (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქმე №102) 2
3. (სცსსა, საქმე №1305) 3
2 ბიბლიოგრაფიაში - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი.
საქმე №102.

საარქივო მასალის ციტირებისას, როდესაც თარიღი არ არის ცნობილი, ეთითება მხოლოდ საქმის №.

ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა კონსოლიდირებული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი ნაშრომის ბოლოს.
გამოყენებულ ლიტერატურაში წყაროები და ლიტერატურა ეთითება ორიგინალის ენაზე. წყაროები და ლიტერატურა ლაგდება ანბანთრიგზე. ჯერ ეთითება ქართულენოვანი, ხოლო შემდეგ არაქართულენოვანი მასალა.
გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვლის ყველა ერთეულს ერთი და იგივე ზოგადი ფორმა აქვს. მაგ.:
ჯონსი, ადრიანი. 1998. წიგნის ბუნება: გამომცემლობა და ცოდნის შექმნის პროცესი. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივ. გამომც.
Johns, Adrian. 1998. The Nature of The book: Print and Knowledge in Making.
Chicago: Univ. of Chicago Press.

1. წიგნები

- ერთი ავტორი ან რედაქტორი

ბიბლ: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. წიგნის სათაური:
წიგნის ქვესათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება.
Diamond, Jared. 1997. Guns, germs, and steel: The fates of human societies. New
York: W. W. Norton and Company.
კეკელიძე, კ. 1987. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
Успенский, Ф. 2001. История Византийской Империи. т. 2, М.: изд. «Наука».

- თუ წიგნს ავტორის ნაცვლად რედაქტორი ჰყავს:

ბიბლ: რედაქტორის გვარი, რედაქტორის სახელი, რედ. გამოცემის თარიღი ...
Noll, Mark A., red. 1990...

- თუ წიგნს ორი ავტორი ჰყავს:

ბიბლ: პირველი ავტორის გვარი, პირველი ავტორის სახელი და მეორე ავტორის სახელი და გვარი. გამოცემის თარიღი. წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური.
გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება. B
ird, Kai & Martin J. Sherwin. 2005. American Prometheus: The triumph and tragedy of J. Robert Oppenheimer. New York: Alfred A. Knopf.

- თუ წიგნს სამი ავტორი ჰყავს:

ბიბლ: პირველი ავტორის გვარი, პირველი ავტორის სახელი, მეორე ავტორის სახელი და გვარი, და მესამე ავტორის სახელი და გვარი. გამოცემის თარიღი. წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება

Appleby, Joyce, Lynn Hunt, & Margaret Jacob. 1994...

- თუ წიგნს ოთხი ან მეტი ავტორი ჰყავს:

ბიბლ: პირველი ავტორის გვარი, პირველი ავტორის სახელი, მეორე ავტორის სახელი და გვარი, მესამე ავტორის სახელი და გვარი, და მეოთხე ავტორის სახელი და გვარი. გამოცემის თარიღი. წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება

Appleby, Joyce, Lynn Hunt, & Margaret Jacob. 1994...

- თუ წიგნს ავტორის გარდა, რედაქტორიც ჰყავს:

ბიბლ: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. წიგნის სათაური:

წიგნის ქვესათაური, რედ. რედაქტორის სახელი და გვარი. გამოცემის ადგილი:

გამომცემლობის სახელწოდება.

arley, J.B. 2002. The new nature of maps: Essays in the history of cartography. რედ. Paul Laxton. Baltimore: Johns Hopkins University Press.

- თუ წიგნს რედაქტორის ნაცვლად მთარგმნელი ჰყავს,

რედაქტორის შესახებ ინფორმაციის ნაცვლად, ბიბლიოგრაფიის მუხლში ჩასვით სიტყვები თარგმ. და თარგმნილია და მიუთითეთ მთარგმნელის სახელი და გვარი. გამოცემის ნომერი

ბიბლ ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. წიგნის სათაური:

წიგნის ქვესათაური, გამოცემის ნომერი გამ. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება.

aniels, Roger. 1002. Coming to America: A history of immigration and ethnicity in American life. მე-2 გამ. New York: Harper Perennial.

- ერთი თავი რედაქტირებულ წიგნში

ბიბლ: თავის ავტორის გვარი, თავის ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. თავის სათაური: თავის ქვესათაური. წიგნში – წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური, რედ. რედაქტორის სახელი და

გვარი, YY-YY. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება.
Spirn, Anne Whiston. 1996. Constructing nature: The legacy of Frederick Law Olmsted.
წიგნში “Uncommon ground: Rethinking the human place in nature”, red. William Cronon, 91-113. New York: W.W. Nortorn and Company.

- ორგანიზაცია, როგორც ავტორი

თუ ორგანიზაციის (მაგ. არქივის, მუზეუმის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და სხვ.), ასოციაციის, კომისიის ან კორპორაციის მიერ გამოშვებული პუბლიკაციის სატიტულო ფურცელზე არ არის მითითებული ინდივიდუალური ავტორის სახელი და გვარი, ავტორად მიუთითეთ საკუთრივ ორგანიზაცია, მაშინაც კი, როდესაც იგი მითითებულია, როგორც გამომცემელი.
ბიბლ: ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. 2003. ფსიქიატრიული სამსახურების ორგანიზება. ჟენევის ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. კალისტრატე ციცაძის პირადი ფონდი. საქმე №102.

სცსსა. 1305. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მუშათა პარტიის არქივის ჰარვარდის ფონდის (აშშ) მიკროფირები. საქმე №1305.

2. ჟურნალის სტატიები

- ჟურნალის სტატიის ბეჭდური გამოცემა

ბიბლ: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. სტატიის სათაური:
სტატიის ქვესათაური. ჟურნალის სახელწოდება ტომის ნომერი (თარიღთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია): YY-YY.

მამისთვალიშვილი, ელდარ. 2023. ავგუსტინელი მისიონერები საქართველოში. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, (X), 77-108.

- ინტერნეტში გამოქვეყნებული ჟურნალის სტატიები

ბიბლ: ავტორის გვარი, ავტორის სახელი. გამოცემის თარიღი. სტატიის სათაური:
სტატიის ქვესათაური. ჟურნალის სახელწოდება ტომის ნომერი (თარიღთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია). URL-ის მისამართი (გახსნილია/მონახულებულია მასალაზე წვდომის თარიღი).

McFarland, Daniel A. 2004. Resistance as a social drama: A study of change-oriented encounters. American Journal of Sociology 109, no. 6 (maisi).
http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v109n6/050199/050199.html (გახსნილია/მონახულებულია 2006 წლის 3 მაისს)
პაპაშვილი, მურმან. 2023. საქართველო და ჯვაროსნული ლაშქრობის მოლოდინი (XVII ს-ის 20-იანი წლები). ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, (X), 194-203. http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/436 (გახსნილია 19.01.2024).
PAPASHVILI, M. 2023. GEORGIA AND THE ANTICIPATION OF THE CRUSADE (20s OF THE XVIIth CENTURY). HISTORY, ARCHAEOLOGY, ETHNOLOGY, (X), 194-203. Retrieved from http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/436 (გახსნილია 19.01.2024).

ინგლისურ ენაზე დამოწმების შემთხვევაში საკუთარი სახელები, ჩვეულებისამებრ, მთავრული ასოებით დაწერეთ.
თუ ბიბლიოგრაფია მოიცავს ორ ან მეტ ნაშრომს, რომლებიც დაწერილი, რედაქტირებული ან ნათარგმნია ერთი და იგივე პირის მიერ, დაალაგეთ მუხლები ქრონოლოგიურად გამოცემის თარიღის მიხედვით. პირველის შემდეგ ყველა მუხლში პირის სახელი შეცვალეთ გრძელი ტირეთი, რომელსაც ეწოდება სამი M-

ის სიგრძის ტირე. რედაქტირებული ან თარგმნილი ნაშრომების შემთხვევაში, დასვით მძიმე და სათანადო აღნიშვნა (რედ., მთარგმნ., და ა.შ.)
ტირეს შემდეგ. ჩამოწერეთ ყველა ასეთი ნაშრომი იმ ნაშრომებამდე, რომელთა შემთხვევაშიც პირი იყო თანაავტორი ან თანარედაქტორი.

ბიბლ: Gates, Henry Louis Jr. 1989. The signifying monkey: A theory of African-American Literary critisism. New York: Oxford University Press. ---, red. 2002. The classic slave narratives. New York: Penguin Putnam.---. 2004. America behind the color line: Dialogues with African Americans. New York: Warner Books. Gates, Henry Louis Jr., da Cornel West. 2000. The African American century: How black Americans have shaped our country. New York: Free Press.
იგივე პრინციპი გამოიყენება ავტორთა ერთი ჯგუფის მიერ დაწერილი ისეთი ნაშრომებისთვის, რომლებიც მითითებულია ერთი და იმავე თანმიმდევრობით.
ბიბლ: Marty, Martin E., da R. Scott Appleby. 1992. The glory and the power: The fundamentalist challenge to the modern world. Boston: Beacon Press. ----------, რედ.-ები. 2004. Accounting for fundamentalisms. Chicago: University of Chicago Press. Marty, Martin E., da Micah Marty. 1998 When true simplicity is gained: Finding spiritual clarity in a complex world. Grand Rapids, Ml: William B. Eerdmans Publishing Company.

სტატიის აგების მოკლე ინსტრუქცია

სათაური

(მოკლე, ინფორმაციული, უნდა ასახავდეს სტატიის შინაარსს)

სახელი, გვარი (სრული)

უნივერსიტეტი;

აკად. ხარისხი,

თანამდებობა,

ტელეფონი, ელფოსტა;

აბსტრაქტი

აბსტრაქტი (რეზიუმე) უნდა იყოს ინფორმაციული, სტატიის ძირითადი შინაარსის ამსახველი, აღწერდეს კვლევის მიზანს, აჯამებდეს კვლევის ძირითად შედეგებს და წარმოაჩენდეს მის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას; უნდა იყოს სტრუქტურირებული, ე. ი. მისდევდეს სტატიის აგების ლოგიკას. მოკლე და ფაქტობრივი აბსტრაქტი (რეზიუმე) (მაქსიმუმ 250 სიტყვა).

საკვანძო სიტყვები: მათი მაქსიმალური რაოდენობა უნდა იყოს 8.

1. **შესავალი**

პრობლემის არსი; მიზნები; ჰიპოტეზა; ნაშრომის მნიშვნელობა; ლიტერატურის მიმოხილვა, თქვენი წვლილი; რა შედეგებს მიაღწიეთ.

2. **მეთოდი**

როგორ შეისწავლეთ დასმული საკითხი: არ აღწეროთ პროცედურები, რომელთა შესახებ მონაცემები ადრე გაქვთ გამოქვეყნებული; მიუთითეთ მეთოდები, საშუალებები, მოწყობილობები და აღწერეთ გამოყენებული მასალა.

3. **შედეგები**

დაალაგეთ ეს პარაგრაფი ჰიპოთეზების მიხედვით. შედეგებს აქ არ განიხილავთ. ცხრილები, სურათები და ტექსტი არ უნდა იმეორებდეს ერთმანეთს;

4. **მსჯელობა** (ზოგჯერ შედეგების და მსჯელობის

პარაგრაფების გაერთიანება მისაღებია).

ეს პარაგრაფი უნდა იკვლევდეს ნაშრომის შედეგების მნიშვნელობას და არ იმეორებდეს მათ. განიხილეთ თქვენი შედეგების შინაარსი, შეადარეთ თქვენი შედეგები მანამდე არსებულს.

5. **დასკვნები**

ნაშრომის მთავარი დასკვნები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს დასკვნის პარაგრაფში, რომელიც შეიძლება ან ცალკე პარაგრაფად იყოს წარმოდგენილი, ან ქვეპარაგრაფის სახით შედეგების და მსჯელობის პარაგრაფში.

მითითების სტილი:

სამეცნიერო პუბლიკაციაში ციტირებული წინადადებისა თუ აბზაცის შემდეგ მრგვალ ფრჩხილებში უნდა დაისვას ინდექსი, სადაც ქართულ ენაზე მიეთითება ავტორის ვინაობა, ნაშრომის გამოცემის წელი და შესაბამისი გვერდი, მაგ.: (თაყაიშვილი, 1920: 23);

გამოყენებული ლიტერატურა:

დასახელებული ლიტერატურა ლაგდება ანბანთრიგზე.

კეკელიძე, 1981 - კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.), თბ., 1981;

უსპენსკი, 2001 - Успенский Ф., История Византийской Империи, т. 2, М., 2001.